პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ხაკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და ხსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 21 დეკემბერი, 1943 წ. № 262 (6887). ფასი 20 კაპ.

სიკვდილი გერმანელ მჯარვალებს!

„პრავდის“ მოწინავე — 20 დეკემბერი

სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით — ასეთია უკრაინის IV ფრონტის სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი სამი გერმანელის — ფაშისტი ჯალათების ლანგჰელდის, რიცის, რეცლავის და მათ ხელშემწყობ, სამშობლოს მოღალატე ბულანოვის საქმის გამო. მხურვალე ტაშით შეხვდნენ სამართლიან განაჩენს საბჭოთა მოქალაქენი, რომლებიც გაჭედილი იყო სასამართლოს დარბაზი ხარკოვში.

ხარკოვის მცხოვრებლებმა განიცადეს გერმანულთა okupacioის ყოველივე საშინელება. ისინი იცნობენ იმ ადგილებს, რომლებიც გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა საზარელ სამარეებად გადააქციეს ათიათასობით მშვიდობიანი, სრულიად უდანაშაულო საბჭოთა ადამიანისათვის. ისინი იცნობენ ქუჩებს, სადაც ეკიდნენ გერმანელი ფაშისტი არამზადების მიერ ჩამოხრჩობილი საბჭოთა მოქალაქეები. ისინი იცნობენ სახლებს, სადაც გერმანელი ფაშისტი არამზადები ცოცხლად სწვავდნენ დაჭრილ სამხედრო ტყვე წითელარმიელებს.

ხარკოვის მოსახლეობასთან ერთად მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად იწონებს, კმაყოფილებით მიესალმება ხარკოვის სამხედრო ტრიბუნალის განაჩენს. ეს ჭეშმარიტად საბჭოთა ხალხის სინიდისის, გონებისა და სამართლიანობის განაჩენია. შეუძლებელია იმის მოთმენა, რომ ცოცხალი რჩებოდნენ, რომ ადამიანთა შორის ცხოვრობდნენ საზიზღარი ორფეხა მხეცები, რომელნიც ისეთ დანაშაულობებს სჩადიოდნენ, რომ ადამიანს ლექსიკონში მათთვის არ მოიპოვებს ამომწურავი სახელწოდება.

„ჩვენი ხალხი არ აპატიებს ამ დანაშაულობებს გერმანელ მტარვალებს. ჩვენ ვაიძულებთ გერმანელ დამნაშავეებს პასუხი აგონ ყველა თავიანთი ბოროტმოქმედებისათვის!“ — მიგვითითებდა ამხანაგი სტალინი.

განაჩენი გამოტანილია იმ ოთხი დამნაშავისათვის, რომელნიც ბრალდებულთა სკამზე იმყოფებოდნენ. მათი დანაშაული სავსებით დამტკიცდა ყოველი მათგანისათვის ცალკე. ყოველი მათგანი პირადად და უშუალოდ მონაწილეობდა საბჭოთა ადამიანების მიმართ ჩადენილ საშინელ მხეცობაში, „დუშეგუბკების“ გაზით მოწამლვაში, დახვრეტაში, არაადამიანური წამების გამოყენებაში.

განაჩენი შეეხება უმაღლესი რანგის ამ ჯალათებსაც, რომელნიც ჯერჯერობით, დრომდე, კიდევ რჩებიან თავისუფლად და განაგრძობენ თავიანთ დანაშაულებრივ საქმიანობას. ობერგრუპენარაშზადა დიტრიხი და უბრალოდ გრუპენარაშზადა სიმონი. მეთაურები სს დივიზიებისა, რომელნიც ხარკოვში თარეშობდნენ, სავსებით მხილებული არიან სასამართლო გამოძიების მასალებით სამარცხვინო ყაჩაღურ დანაშაულობებში, რისთვისაც გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით. მათი ჯერიც მოვა.

ბრალდებულთა სკამზე ხარკოვში მთავარი ყაჩაღები კი არ ყოფილან. მთავარი ყაჩაღები ჯერ კიდევ განაგრძობენ თავიანთ შავბნელ საქმეს. სასამართლომ უცილობლად დაამტკიცა ფაქტებითა და დოკუმენტებით, ბრალდებულთა აღიარებით და მოწმეთა ჩვენებებით, რომ ჰიტლერული მთავრობისა და გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის დანაშაულებრივ ბრძანებათა შესრულება სრულიადაც არა ყოფილა მექანიკური, იძულებითი. არა, ლანგჰელდი, რიცი და რეცლავი უსულგულო ჯალათები არიან რომელნიც ყაჩაღური გულმოდგინეობით, იჩენდნენ რა დახელოვნებულ სადისტთა ინიციატივას, ასრულებდნენ თავიანთი უფროსების. ჰიტლერული ბანდიტური ხროვის დანაშაულებრივ ბრძანებებს. ყველა ისინი, დაწყებული ბანდიტ გენერლითა და გათავებული ბანდიტ ეფრეიტორით. მთლიანად აგებენ პასუხს თავიანთი შავბნელი ბოროტმოქმედებისათვის.

ხარკოვის პროცესის მნიშვნელობა ის არის, რომ მან მთელი მსოფლიოს წინაშე ერთხელ კიდევ გამოააშკარაა ჰიტლერული არმიის მხეცური, საზიზღარი სახე და დაამტკიცა, რომ იგი უნდა მოსპობილ იქნას, როგორც ადამიანური ცივილიზაციისა და ადამიანური ყოფიერების ინსტინქტი. ეს ამ ბრალდებულ ბანდიტებს ჩასაფიქრებლად ასწავლიდნენ ჯალათებს, სპეციალურ კადრებს და. [illegible] ამაში მიზნისათვის მოგონილ იქნა და მასობრივად დამზადდა „დუშეგუბკა“ — გაზის ავტომობილი, არაადამიანური, ჯოჯოხეთური გამოგონება, რომლის მოფიქრებაც მხოლოდ მხეცზე დაბლა დაცემულ ადამიანებს შეეძლოთ.

ფაშისტი გერმანელი არამზადებმა მიერ დროებით დაკავებულ ადგილებში „დუშეგუბკების“ მასობრივი გამოყენება საცნობილია. ეს ბოროტ-ბანდიტმა ჰაინიშმა, რომელიც ამ საქმეზე მოწმედ გამოდიოდა, აჩვენა, რომ „დუშეგუბკების“ გამოყენება ხდიდა ფაშისტური ბანდის პირსისხლიანი მეთაურის ჰიტლერის პირდაპირი მითითებით.

გაზის ავტომობილებში ფაშისტი ჯალათები სპობდნენ პაწია ბავშვებს, სპობდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი საბჭოთა ბავშვები იყვნენ. გაზის ავტომობილებში სპობდნენ მშვიდობიან მოქალაქეებს — ქალებს, მოხუცებს და მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი საბჭოთა ადამიანები იყვნენ.

გერმანელი ფაშისტი არამზადები მასობრივად ჰკლავდნენ სამხედრო ტყვე წითელარმიელებს. და ეს იმიტომ, რომ წითელარმიელები საბჭოთა ხალხის შვილები არიან.

საშინელი, დაუვიწყარი, სისხლის გამყინავი სურათები გადაიშალა სასამართლოს წინაშე. თვითონ გერმანელებმა—ბრალდებულებმა და მოწმეებმა—დაწვრილებით ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ გულგრილად და სისტემატურად იქნა წამებით დახოცილი მრავალი ათასი ტყვე წითელარმიელი ბანაკებში, თუ როგორ დასწვეს გერმანელებმა ხარკოვში ჰოსპიტალი, სადაც მძიმედ დაჭრილი საბჭოთა მებრძოლები იმყოფებოდნენ, ასობით და ათასობით საბჭოთა ადამიანები იღუპებოდნენ ცეცხლში, იღუპებოდნენ გაზით დახრჩობისაგან, იღუპებოდნენ საშინელი წვალებისა და ცემისაგან. მხეცური წამებისაგან.

ეს მხეცური დანაშაულებანი არა გერმანელ ხალხთა გაჟლტის ყაჩაღურ-კაციჭამიური პოლიტიკის გამოხატულებაა. ეს როდია ცალკეული გამხეცებული გერმანელების სადისტური ექსცესები. ეს პროგრამაა, ეს ჰიტლერიზმია მოქმედებაში. ეს არა მარტო თავხედური ბანდიტური შებილწვაა საერთაშორისო კონვენციების დადგენილებებისა, რომელიც მოითხოვენ მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, მოითხოვენ სამხედრო ტყვეებისადმი ჰუმანურ მოპყრობას, ეს არის არა მარტო შებილწვა ომის კანონებისა, რომელიც მიღებული და დადგენილია. ეს გათელვაა, ეს აბუჩად აგდებაა ადამიანის სინიდისისა, სამართლიანობისა, ელემენტარული მორალის ნორმებისა; მთელი კაცობრიობისა.

ჰიტლერელ ყაჩაღთა ბანდამ, თავის ძალით დაიმედებულმა, დაიჩქარა „გაეთავისუფლებინა“ თავი პასუხისმგებლობისაგან, დევნისა და სასჯელისაგან. მათ უნდოდათ დაემტკიცებინათ, რომ კანონები მათთვის რიდია დაწერილი. არა, მათი ნება-სურვილის წინააღმდეგ, ომის წარმოების კანონები კულტურული კაცობრიობის მიერ აღიარებულნი, არსებობენ დამოუკიდებლად იმისა, სცნობენ მათ თუ არა სცნობენ სისხლის სამართლის დამნაშავენი, პირსისხლიანი ბანდიტები. არის სამართლიანობა. არის ხალხთა სინიდისი და, რაც მთავარია, არის ძალა, უფრო ძლიერი, ვიდრე ჰიტლერული სამხედრო მანქანის ძალა. არის ძალა უშრეტი, დაუძლეველი, რომელსაც შეუძლია უზრუნველჰყოს, უკვე ახლა უზრუნველჰყოფს და შემდეგშიც უზრუნველჰყოფს სამართლიანობისა და ღირსების გამარჯვებას და სასტიკი მისაზღვეველის მიზღვევას.

ეს ძალაა წითელი არმია, რომელიც ანადგურებდა გერმანელებს მოსკოვთან, სტალინგრადთან, დნეპრზე და გაანადგურებს ჰიტლერელთა ურდოებს მათ სრულ [illegible]ისპობამდე. ეს ძალაა ჩვენი მოკავშირეების არმიები. ეს ძალაა მძაფრი პროტესტი ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხებისა, რომლებიც მოითხოვენ დამნაშავეების ულმობელად დასჯას. ეს ძალაა მრისხანება დამონებული ხალხების, მრისხანება, რომელიც აღვივებს პარტიზანულ ომს, სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობას ჰიტლერელთა არმიის ზურგში.

ხარკოვის პროცესმა გვიჩვენა, რომ ევროპის განაწამები ხალხები მოესწრებიან და მალე მოესწრებიან ჰიტლერელთა მთელ ბანდასთან ალაგრიმის გასწორების ჟამს. უკვე სრულდება და კიდევ სავსებით ასრულდება წინასწარმეტყველური სიტყვები ამხანაგ სტალინისა, რომელიც სთქვა:

„დაე იცოდნენ ამ ჯალათებმა, რომ ისინი ვერ გაექცევიან პასუხისმგებლობას თავიანთ დანაშაულობათათვის და თავს ვერ დააღწევენ განაწამებ ხალხთა დამსჯელ ხელს“.

ვერსად ვერ დაიმალებიან ჰიტლერელი ბანდიტები. დედამიწის კიდეზედაც კი დაეწევა მათ დამსჯელი მახვილი მართმსაჯულებისა.

გერმანელ დამნაშავეენი წარსდგნენ საბჭოთა სასამართლოს წინაშე ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულობათათვის. ისინი საბჭოთა კანონების მიხედვით გაასამართლეს. საბჭოთა სასამართლო სამართლიანია. მან ბრალდებულთ დაცვის ყველა საშუალება მიანიჭა. მაგრამ რის თქმა შეეძლოთ ამ დამნაშავეებს? ისინი დადუმდნენ, ისინი, პირუტყვულნი შიშით შეპყრობილნი, გაშეშდნენ კანონის ძალის წინაშე.

პროცესი საჯაროდ, საქვეყნოდ მიმდინარეობდა. საბჭოთა ხალხის სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული განაჩენი მოკლე და ნათელია: სიკვდილი ჩამოხრჩობით. სხვაგვარ განაჩენს საბჭოთა ხალხი არც მოელოდა.

წითელი არმიის გმირულმა მებრძოლმ. მისმა მხედრულმა ოსტატობამ, მისმა უსაზღვრო მამაცობამ საზიზღარი დამნაშავენი საბჭოთა ხალხის სამსჯავროს წინაშე დააყენა. და ჩვენი წითელი არმიის ძალა, საბჭოთა ხალხის მძლავრი ძალა საწინდარია იმისა, რომ ულმობელ სასჯელს ვერ გაექცევა ვერ ერთი ფაშისტი არამზადა, რომელმაც ხელი აღმართა საბჭოთა ხალხის თავისუფლების წინააღმდეგ, მისი ღირსების წინააღმდეგ. ვერ გაექცევა ვერც ერთი მკვლელი საბჭოთა მშვიდობიანი ადამიანებისა—ქალებისა, მოხუცებისა, ბავშვებისა. სასტიკ სიკვდილს ვერ გაექცევა ვერც ერთი გერმანელი მხეცი, რომელიც სწვავდა ტყვე დაჭრილ წითელარმიელებს, შიმშილით ჰკლავდა მათ სიკვდილის ბანაკებში. და პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა მთელი ჰიტლერული არმია, მთელი ჰიტლერული გერმანია, რომელიც დაეცემა აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან მოკავშირეთა მძლავრი გაერთიანებული დარტყმებისაგან.

ახლოვდება გამარჯვების ჟამი, აბლოვდება სრული მიზღვევის ჟამი!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს! სიკვდილი ფაშისტ მტარვალებს!

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

19 დეკემბრის ოპერაციული ცნობა

ამ დღეებში ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის ჯარები, არმიის გენერალ ბაგრამიანის ხელძღვანელობით, შეტევაზე გადავიდნენ ნეველის სამხრეთით განლაგებული გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ და გაარღვიეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული თავდაცვითი ზოლი ფრონტით 80 კილომეტრამდე და სიღრმით 30 კილომეტრამდე.

ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ბალიცკის, გენერალ-ლეიტენანტ ფედიუნინის ჯარებმა, გენერალ-ლეიტენანტ ოსლიკოვსკის კავალერისტებმა, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბუტკოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ სასნოს ტანკისტებმა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ პაპივინის მფრინავებმა.

ხუთი დღის დაძაბული ბრძოლების განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა გაათავისუფლეს 500-ზე მეტი დასახლებული პუნქტი და მათ შორის ვიტებსკის ოლქის რაიონული ცენტრი ეზერიშჩე, დასახლებული პუნქტები ხელიშჩე, ვიროვლია, შაკუროვო, კარეევი, ოგოლი, ტელეშოვო, ოსიპოვკა, ხალამერიე, ლუტნია, მეხოვოე, ზეზიულინო, ბესენიატა, ხვოშნო, გერეზნო, გუნატინო, დუბროვა, ვიშედკი, მედვედი, ფასალოვო და რკინიგზის სადგურები ეზერიშჩე, ზრიბაჩი, ბიჩისა.

ბრძოლებში განადგურებულია გერმანელთა 87-ე, 129-ე და 211-ე ქვეითი დივიზიები, მე-20 სატანკო დივიზია და რამდენიმე დაცვის ნაწილი. მოსპობილია 69 ტანკი, 164 ქვემეხი, 123 ნაღმსატყორცნი, 586 ტყვიამფრქვევი, 760 ავტომანქანა და 16 საწყობი. მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე მოკლულთა სახით დასტოვა 20 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი ტროფეები: 194 ქვემეხი, 75 ნაღმსატყორცნი, 735 ტყვიამფრქვევი, 5.000-ზე მეტი შაშხანა და ავტომატი, 37 ტანკი, 110 ავტომანქანა, 24 საწყობი საომარ მასალიანად, შეიარაღებიანად, საჭურვლიანად და ხურსათიანად, 200 საზიდარი ტვირთიანად და სამედიცინო ქონებიანად. ტყვედ წამოუყვანია 2.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლაა.

18 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაამარცხეს და მოსპეს გერმანელთა 19 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 15 თვითმფრინავი.

* * *

20 დეკემბრის ოპერაციული ცნობა

20 დეკემბრის განმავლობაში ნეველის სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას და დაიკავეს 70-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის: მალაშევკი, ზაგორანი, კოშემიაკი, პოლუშანოვო, კალცი, გრიბული, პრიმალნი, ვერეჩიე.

კოროსტენის რაიონში ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების ერიშები.

კიროვოგრადის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების კონტრერიშებს და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლაა.

19 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაამარცხეს და მოსპეს გერმანელთა 82 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 27 თვითმფრინავი.

* * *

ნეველის სამხრეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. საბჭოთა ჯარების დარტყმების შედეგად მოწინააღმდეგე დიდძალ საქურველსა და სამომარ მასალას ჩაერის და უკან იხევს. დღეს ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს 70-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. ერთ უბანზე გერმანელები, რომლებმაც შეაღწიეს დამარცხებული თავიანთი ნაწილების ნაშთები, ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ხელსაყრელი ზღუდე. 6 შენაერთის ნაწილებმა გააფთრებულ ბრძოლაში გაანადგურეს მოწინააღმდეგის ეს ჯგუფი. ბრძოლის ველზე დარჩა 1.500-მდე მოკლული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე ჩვენი ჯარები სოლივით შეიჭრნენ მოწინააღმდეგის თავდაცვაში და რამდენიმე ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი დაიკავეს. მარტო ერთ-ერთი ამ პუნქტისათვის ბრძოლაში ჩვენმა ჯარებმა გაანადგურეს 300 ჰიტლერელი და ხელთ იგდეს 12 ქვემეხი, 80 ტყვიამფრქვევი და დიდი ოდენა სამხედრო ქონებიანად. წამოყვანილია ტყვეების მნიშვნელოვანი რიცხვი.

* * *

კოროსტენის რაიონში მოწინააღმდეგემ ქვეითი ჯარისა და ტანკების ძალებით ერიშში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. დიდი ზარალის ფასად გერმანელებმა თავდაპირველად მოახერხეს შემოკრილიყვნენ ერთ დასახლებულ პუნქტში. ჩვენი ნაწილები კონტრერიშებზე გადავიდნენ და გააფთრებული ბრძოლის შედეგად უკუაგდეს მოწინააღმდეგე. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 600-ზე მეტი გვამი და გერმანელთა 15 დაშვარი ტანკი. დღის დამლევისათვის მოწინააღმდეგემ კვლავ განაახლა ერიშები, მაგრამ, დაკარგა რა კიდევ 12 ტანკი, იძულებული იყო საწყისი პოზიციებისაკენ უკუქცეულ.

* * *

კიროვოგრადის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელებმა ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდ ძალებს მოუყარეს თავი და არა ერთხელ გადმოიყვანეს ისინი კონტრერიშებზე. ერთ რაიონში მოწინააღმდეგემ ბრძოლაში ჩააბა ერთი პოლკი ქვეითი ჯარი და ასზე მეტი ტანკი. გერმანელთა ტანკებს ჩვენი არტილერიისა და ჯავშანმტვრეველების ქვეგანაყოფთა ცეცხლით შეხვდნენ. გაჩაღდა გაფთრებული ბრძოლა. ბრძოლის ბედი გადასწყვიტეს საბჭოთა ტანკისტებმა, რომლებმაც უეცრად დაარტყეს მტერს ფლანგიდან. გერმანელებმა დიდი ზარალი ნახეს და საწყისი ზღუდისაკენ დაიხიეს. არასრული ცნობებით, ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს 1.200 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დასწვეს და დააზიანეს მოწინააღმდეგის 39 ტანკი და 9 თვითმავალი ქვემეხი.

* * *

საბჭოთა ავიაცია, ამინდის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, ურტყამდა გერმანელთა ჯარების თავმოყრილ ნაწილებს. დღის განმავლობაში ჩვენმა მფრინავებმა მოსპეს და დააზიანეს გერმანელთა 20-მდე ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. 200-ზე მეტი ავტომანქანა და საზიდარი სამხედრო ტვირთიანად, ააფეთქეს 3 საწყობი საომარი მასალა, 40 სარკინიგზო ვაგონი და ჩაიშალა მოწინააღმდეგის 30-მდე საარტილერიო და საღაღმტყორცნო ბატარეა.

* * *

ყირიმში მოქმედი პარტიზანული რაზმი 8 დეკემბერს უეცრად დაესხა თავს მტრის გარნიზონს, რომელიც რაიონულ ცენტრში იყო განლაგებული. ძლაფრი დარტყმის შედეგად პარტიზანებმა განდევნეს მოწინააღმდეგე დასახლებული პუნქტიდან, ამასთან ბრძოლაში ოსპეს 180 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. საბჭოთა პატრიოტებმა აიფეთქეს საწვავის საწყობი და საომარი მასალის საწყობი, ხელთ იგდეს 8 ტყვიამფრქვევი, რამდენიმე ათეული შაშხანა და ავტომატი, დიდძალი საომარი მასალა და სურსათი. ყირიმის სხვა რაზმის პარტიზანებმა ტანკსაწინააღმდეგო თოფების ცეცხლით ჩამოაგდეს გერმანელთა მოპიკრიე ბომბდამშენი. თვითმფრინავი და მფრინავები დაიწვნენ.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანიის ეგერთა მე-10 ბატალიონის მე-4 ასეულის ობერეფრეიტორმა კურტ ერდმანმა განაცხადა: „ჩვენს ბატალიონში 1.100 კაცი იყო. ესენი იყვნენ რჩეული ჯარისკაცები, ზამთრის ბრძოლებისათვის სპეციალურად მომზადებულნი, მაგრამ სარდლობა იძულებული იყო საფეხურშივე ჩავებით ჩვენ ბრძოლაში, რათა დაებრკოლა მრავალთაგან ერთ-ერთი ხერელი. ზუფულის ბრძოლების განმავლობაში ბატალიონს სამჯერ მოუვიდა შევსება და, მოიტანდაოდა ამბა, იგი ახლაც მეტად ცუდად გამოიყურება. ბატალიონში სულ 86 კაცი დარჩა. მას მეთაურობს გამოუცდელი ლეიტენანტი ბლიუმი, რომელსაც ომის დასაწყისში ოცეულსაც კი არ მიანდობდნენ. ბატალიონის საუკეთესო ჯარისკაცები დარჩულნი არიან სადგურ პონირეს მახლობლად, დესნის, დნეპრისა და პრიპიატის ნაპირებზე. ცოცხლად დარჩენილებს არა სურთ უაზროდ დაიღუპონ. ჩვენ დავიწყეთ ფიქრი, რომ ომი წაგებულია, და ვერ გაგვიგია, რატომ მოითხოვენ ჩვენგან ახალ მსხვერპლს. ტროსნის რაიონიდან უკანდახევისას ჩვენ გვეუბნებოდნენ—დესნაზე რუსები შეჩერებული იქნებიანო. დნეპრისაკენ უკანდახევისას ოფიცრები გვარწმუნებდნენ: იქ გამოვიზამთრებთ განსაკუთრებით მძლავრი „აღმოსავლეთის ზღუდის“ საფარქვეშო. მაგრამ ჩვენ დნეპრზეც ვერ შეჭერდით და უკუიქეცით მდინარე პრიპიატისაკენ და უფრო შორს. ჩვენი ბატალიონი დღითიდღე ნება ისევე, როგორც ნება გერმანიის მთელი არმია რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეებში“.

* * *

წითელი არმიის დარტყმების შედეგად უკანდახევისას გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა მოჰკლეს პოლესიე ოლქის დაბა ზრაგინის ბევრი მშვიდობიანი მცხოვრები. ჰიტლერელმა ჯალათებმა დახვრიტეს ალექსანდრე ლესენკო,—წითელი არმიის ოთხი ებრძოლის მამა და მთელი მისი ოჯახი: ცოლი, სამი ქალიშვილი და შვილიშვილი. საშინელი ბოროტმოქმედებანი ჩაიდინეს გერმანელებმა ბრაგინის რაიონის სოფლებშიც. მათ გაანადგურეს მთელი ოთხი სოფელი, ხოლო მოსახლეობა ფაშისტურ ბონობაში გარეკეს ან დახვრიტეს. სოფელ მალოეინიდან ჰიტლერელებმა გერმანიის კატორღაში გარეკეს 192 კაცი. ფაშისტმა მტარვალებმა ცოცხლად დასწვეს კოლმეურნე ქალი ულიანა პლიუშაი, დახვრიტეს ივანატე ჩერნენკო, ივანე გრიშენკო და სოფლის სხვა მცხოვრები. გერმანელებმა მალოეინში დასწვეს კოლმეურნეთა 156 საცხოვრებელი სახლი მთელი სიზოო. ნაგებობებიანად. გერმანელმა ჯაჩაღებმა დასწვეს ავრეთვე კოლმეურნეობის კლუბი, არასრული საშუალო სკოლის შენობა, ორი თავლა, ბაკი და მთელი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი—გუთნები, ფარცხები, სათესი, სანიავებელი და სალეწი მანქანები.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის შესახებ

იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის ახლანდელი სახელმწიფო ჰიმნი „ინტერნაციონალი“ თავისი შინაარსით არ ასახავს იმ ძირფესვიან ცვლილებებს, რაც ჩვენს ქვეყანაში მოხდა საბჭოთა წყობილების გამარჯვების შედეგად, და არ გამოხატავს საბჭოთა სახელმწიფოს სოციალისტურ არსს,—სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ გადასწყვიტა შესცვალოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი ახალი ტექსტით, რომელიც თავისი შინაარსით შეესაბამება საბჭოთა წყობილების სულსა და არსს.

დამტკიცებულია ახალი სახელმწიფო ჰიმნის შემდეგი ტექსტი:

საბჭოთა კავშირის ჰიმნი

(ტექსტი სერგეი მიხალკოვისა და ელ-რეგისტანისა)

Союз нерушимый республик свободных
Сплотила навеки Великая Русь.
Да здравствует созданный волей народов,
Единый, могучий Советский Союз!

Славься, Отечество наше свободное,
Дружбы народов надёжный оплот!
Знамя советское, знамя народное
Пусть от победы к победе ведёт!

Сквозь грозы сияло нам солнце свободы,
И Ленин великий нам путь озарил.
Нас вырастил Сталин — на верность народу,
На труд и на подвиги нас вдохновил.

Славься, Отечество наше свободное,
Счастья народов надёжный оплот!
Знамя советское, знамя народное
Пусть от победы к победе ведёт!

Мы армию нашу растили в сраженьях,
Захватчиков подлых с дороги сметём!
Мы в битвах решаем судьбу поколений,
Мы к славе Отчизну свою поведём!

Славься, Отечество наше свободное,
Славы народов надёжный оплот!
Знамя советское, знамя народное
Пусть от победы к победе ведёт!

ახალი სახელმწიფო ჰიმნისათვის მიღებულია კომპოზიტორ ა. ვ. ალექსანდროვის მუსიკა.

ჰიმნის მუსიკის ნოტები ცალკე გამოქვეყნდება.

ახალი სახელმწიფო ჰიმნის საყოველთაო შესრულება შემოღებული იქნება 1944 წლის 15 მარტიდან.

სსრ კავშირის მინსახკომში

სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. ა. ა. ანდრეევმა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1943 წლის 6 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე გამოსცა ბრძანება „ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის გეგმის დროულად შესრულებისათვის მტს-ების, მანქანა-ტრაქტორთა ხელოსნობებისა და სარემონტო ქარხნების შაშაკთა წახალისების ღონისძიებათა შესახებ“, რომლითაც გათვალისწინებულია:

1. შემდეგი პრემიების დაწესება მტს-ების, მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოებისა და სარემონტო ქარხნების ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისათვის, რომელთაც თავი გამოიჩინეს ტრაქტორების რემონტის ჩატარების მოწყობაში, სათადარიგო ნაწილების დამზადებასა და რესტავრაციაში:

ა) სარემონტო ქარხნების, სამეურნეო ანგარიშზე მყოფ მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოების დირექტორები და მთავარი ინჟინერები (ტექნიკური ხელმძღვანელები), მტს-ების დირექტორები და უფროსი მექანიკოსები, მტს-თან არსებული სარემონტო სახელოსნოების მექანიკოს-გამგეები ჯილდოდებიან:

ტრაქტორებისა და მოტორების რემონტის დაწესებული თვიური გეგმის შესრულებისათვის, თუ რემონტი კარგი ხარისხისაა — ორ თვიმდე ხელფასის რაოდენობით;

დაწესებულ ვადაში ტრაქტორებისა და მოტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის გეგმის სრულად შესრულებისათვის, თუ რემონტი კარგი ხარისხისაა — დამატებით სამი თვის ხელფასის რაოდენობით;

ბ) მტს-ების, სარემონტო ქარხნებისა და მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოების საამქროთა უფროსები, ოსტატები და კონტროლორი ოსტატები ჯილდოდებიან:

მოტორებისა და ტრაქტორების რემონტის დაწესებული თვიური დავალების შესრულებისათვის, თუ რემონტი კარგი ხარისხისაა—ერთი თვის ხელფასის რაოდენობით;

დაწესებულ ვადაში ტრაქტორებისა და მოტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის გეგმის მიხედვით დავალების სრულად შესრულებისათვის, თუ რემონტი კარგი ხარისხისაა—დამატებით ორი თვის ხელფასის რაოდენობით.

2. იმ მტს-ების, სარემონტო ქარხნების და მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოების დირექტორებს, რომელთაც შეასრულეს ტრაქტორების რემონტის თვიური გეგმები, ნებადართული აქვთ დაჯილდოონ ერთი თვის ხელფასის რაოდენობით მუშები, რომელთაც თავი გამოიჩინეს რემონტის დროს.

3. დაწესება სარემონტო ტრესტების, რესპუბლიკათა მიწსახკომების, სამხარეო (საოლქო) სამეწარმოთმქმედო განყოფილებების და სსრ კავშირის მიწსახკომის ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დაჯილდოებისა — ტრაქტორების რემონტის თვიური გეგმების შესრულებისათვის — თვიური ხელფასის რაოდენობით, ხოლო ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის გეგმის სრულად შესრულებისათვის—დამატებით ორი თვის ხელფასის რაოდენობით.

პრემიები სარემონტო ქარხნებისა და მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოების დირექტორებსა და მთავარ ინჟინერებს მიეცეთ ხელფასის ფონდიდან ტრესტის მმართველის ბრძანების საფუძველზე, ხოლო მტს-ების დირექტორებსა და უფროს მექანიკოსებს, მტს-ებთან არსებული სარემონტო სახელოსნოების მექანიკოს-გამგეებს რესპუბლიკის მიწსახკომების სახალხო კომისრის, სამხარეო (საოლქო) სამეწარმოთმქმედო განყოფილებების უფროსის ბრძანების საფუძველზე—სსრ კავშირის მიწსახკომის მიერ გამოყოფილი სპეციალური სახსრებიდან.

4. ცხადდება მტს-ების, მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოების და სარემონტო ქარხნების ყველა მუშაკთა საყურადღებოდ, რომ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1943 წლის 6 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცებული თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ხუთი გარდამავალი წითელი დროშა, რომლებიც გადაეცემათ რესპუბლიკებს, მხარეებსა და ოლქებს მტს-ებისა და კოლმეურნეობათა ტრაქტორების რემონტის თვიური გეგმების საუკეთესოდ შესრულებისათვის, დროშასთან ერთად მთ მიეცემათ პრემია 300 ათასი მანეთის რაოდენობით.

5. ცხადდება პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს და სსრ კავშირის მიწსახკომის 35 გარდამავალი წითელი დროშა იმ მტს-ების, მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოებისა და სარემონტო ქარხნებისათვის, რომელნიც პირველ ადგილს დაიკავებენ შეჯიბრებაში ტრაქტორების რემონტის თვიური გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების დროს დროშასთან ერთად მთ მიეცემათ ფულადი პრემია 20 ათასი მანეთის რაოდენობით.

6. ცხადდება იმ საწარმოთა საყურადღებოდ მეიზდავად მათი საუფლებო დაქვემდებარებისა, რომელნიც ამზადებენ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილებს და ახდენენ მათს რესტავრაციას, რომ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1943 წლის 6 დეკემბრის დადგენილებით სათადარიგო ნაწილების წარმოების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის დაჯილდოების წინათ დადგენილი წესი გავრცელებულია ყველა საწარმოზე, რომელნ

სასამართლო პროცესი

ქალ. ხარკოვისა და ხარკოვის ოლქის ფერიფერიაზე მათი დროებითი ოკუპაციის პერიოდში გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ ჩადენილ მხეცობათა შესახებ

16 დეკემბრის საღამოს სხდომა

სასამართლო იწყებს მოწმეთა დაკითხვას.

პირველი დაკითხულ იქნა მელიტოპოლის ყოფილი საოლქო კომისარი — ობერშტურმბანფიურერი ჰაინში, რომელიც „ხელმძღვანელობდა“ ოკუპირებული ოლქის მეურნეობას, ორთმეოდა რა მოსახლეობას პროდუქტებს გერმანიის არმიისა და ზურგისათვის. იმათ, ვინც არ აბარებდა პროდუქტებს, ანატიმრებდნენ და, როგორც ჰაინში ამბობს, „ლიკვიდაციას“ უმზერებდნენ. ამრიგად, მარტო ერთი წლის განმავლობაში მელიტოპოლის ოლქში მოსპობილ იქნა 4.000-მდე კაცი. პროკურორს მოჰყავდა ცნობა იმის შესახებ, რომ მელიტოპოლში და მის მიდამოებში აღმოჩენილ იქნა გერმანელი ოკუპანტების მიერ გაჟლეტილი საბჭოთა მოქალაქეების 14 ათასი გვამი. ჰაინში განმარტავს, რომ ამ ციფრებში შედის გერმანიის არმიის მოწინავე ნაწილების მიერ ოკუპაციის პირველ თვეებში მოსპობილი საბჭოთა ადამიანების 10 ათასი გვამი.

საბჭოთა ადამიანების მასობრივი გაჟლეტა სწარმოებდა როგორც დახვრეტის გზით, ისე „გაზის ავტომობილებშიაც“. ლაპარაკობს რა 1.200 მშვიდობიან საბჭოთა მოქალაქეზე, რომელიც მელიტოპოლში დაუპატიმრეს მარტო 1942 წლის დეკემბერში, ჰაინში აჩვენებს:

— ისინი გიგზავნენ სიმფეროპოლის ბანაკში და იქ დახვრიტენ ან მოსპობილ იქნენ „გაზის ავტომობილის“ საშუალებით.

„დაშეგუბკებზე“ ძალიან ბევრი ლაპარაკი იყო „ტავრიის ოლქის“ ხუთი საოლქო კომისრის დახურულ თათბირზე, აღნიშნავს შემდეგ ჰაინში ამ თათბირზე გამოვიდა ყირიმისა და ტავრიის სდ და გესტაპოს უფროსი, პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი ფონ-ალვენსლებენი, რომელმაც უკმაყოფილება გამოსთქვა „გაზის ავტომობილთა“ შესახებ ზედმეტი ლაყბობის გამო.

— პოლიციის გენერალ-ლეიტენანტის ფონ-ალვენსლებენის განცხადებით, — განაგრძობს ჰაინში, — ფიურერმა, ე. ი. ჰიტლერმა განკარგულება გასცა იმის შესახებ, რომ შეწყვეტილიყო ლაყბობა „გაზის ავტომობილზე“.

ჰაინში აჩვენებს, რომ „დაშეგუბკების“ მასობრივი გამოყენების საკითხი გადაჭრილ იქნა 1942 წლის შემოდგომაზე ჰიტლერთან გამართულ თათბირზე, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ჰიმლერი. მოჰყავდათ ასეთი მოსაზრება: რუსი ხალხის მორჩილებაში ყოფილა, ამიტომ საჭიროა ულმობელი რეპრესიების გამოყენება. მხოლოდ ამრიგად შეიძლება წარმატებით გატარდეს რუსეთის კოლონიზაცია და შესუსტებულ იქნას რუსი ხალხი ამ ქვეყნის მოსახლეობის შემცირებით. ამის შესახებ ლაპარაკი იყო აგრეთვე უკრაინის საოლქო კომისართა თათბირზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა საიმპერიო კომისარი კოხი. კოხი ამბობდა, რომ ისეთი ზომები, როგორიცაა სოფლების გადაწვა, არ იძლევა ეფექტს. საჭიროა გადაჭრით და ულმობლად გატარდეს ძოსახლეობის მასობრივი გაჟლეტის პოლიტიკა, მოსპობილ იქნას „ყველა არასაჭირო ელემენტი“. შემდეგ ჰაინშმა განაცხადა, რომ „გაზის მანქანებს“ იყენებენ აგრეთვე გერმანიაში საკონცენტრაციო ბანაკებში.

შემდეგ დაკითხულ იქნა მოწმე კოში—გერმანიის 78-ე ქვეითი დივიზიის ასეულის ინქინერი. იგიც ადასტურებს, რომ გერმანელები ფართოდ იყენებდნენ პრაქტიკაში საბჭოთა ადამიანებს დახვრეტის „დაშეგუბკებში“.

— ჰიტლერი და მისი ხროვა, — ამბობს კოში, — ახორციელებენ საბჭოთა ხალხის გეგმაზომიერ მოსპობას, არ ერიდებიან ბავშვთა და ქალთა მასობრივ დახოცვას.

— სამართლიანი იქნებოდა, — აკრძალებს მოწმე, — ჰიტლერი და მისი ხროვა ჩაესვათ იმავე „გაზის ავტომობილში“, რომელიც მათ გამოიგონეს გერმანიის სამარცხვინოდ.

იმის შესახებ, თუ რა ხდება ჰიტლეიულ ბანაკებში, სასამართლოს უამბო გერმანიის არმიის ფელდფებელმა მოწმე იანჩიმ. ვიაზმაში 231-ე ბანაკში სამხედრო ტყვეებთან ერთად იმყოფებოდა სამოქალაქო მოსახლეობა. ერთხელ გერმანიის სარდლობამ გასცა განკარგულება ამ ბანაკიდან ეტაპით გადაყვანით სმოლენსკში 15 ათასი კაცი. დარჩენულ ადგილს მხოლოდ 2 ათასმა კაცმა მიაღწია. 13 ათასი დაიღუპა გზაში—მოკვდა შიმშილისაგან, გაიყინა, დახვრეტილ იქნა. ეს იყო წინასწარ მოფიქრებული მასობრივი მკვლელობა.

ვიაზმაში დარჩა 10 ათასი პატიმარი. მათ შიშველით ჰკლავდნენ, სცემდნენ, ხვრეტდნენ.

— იცოდა თუ არა ამ საშინელებათა შესახებ უმაღლესმა სარდლობამ? — ეკითხება პროკურორი.

— უმაღლესმა სარდლობამ, — უპასუხებს იანჩი, — არა თუ იცოდა ბანაკებში ჯამფებული წესების შესახებ, არამედ თვითონ შემოიღო ეს წესები.

16 დეკემბრის საღამოს სხდომაზე უკანასკნელი დაჰკითხეს მოწმე ბოიკო — ხარკოვის „სდ ზონდერკომანდოს“ შოფერი. მან საკუთარი თვალით დაადასტურა გერმანელ ოკუპანტთა დანაშაულობანი.

17 დეკემბრის დილისა და საღამოს სხდომა

სამხედრო ტრიბუნალის წინაშე წარსდგა მოწმეთა — 69-ე არმიის 1-ლი საარმიო მბარაისსებელი ჰოსპიტლის ყოფილ მეშაკთა ჯგუფი. გერმანელების მიერ ხარკოვის ხელში ჩაგდების პირველ დღეებში 1943 წლის მარტში ამ ჰოსპიტალში საშინელი ტრაგედია დატრიალდა. ეს რა უამბო სასამართლოს მოწმე ქირურგმა ჯინკველაძემ:

— ჰოსპიტლის მე-8 კორპუსში თავმოყრილი იყვნენ მძიმედ დაჭრილნი, რომელთაც დაუყოვნებლივი ოპერაციული დახმარება ესაჭიროებოდათ და სოსპერაციოში იმყოფებოდნენ. გაისმა ყრუ აფეთქების ხმა. ჩემკენ ყვირილით მორბოდნენ სანიტარები-ქალები. გამოირკვა, რომ ჰოსპიტალს მოადგნენ „სს“-ელები, რომლებმაც წინასწარ დაჭიდეს ყველა შესასვლელი კარი და შენობაში შეაგდეს ორი ციცხლგაშრეი ბომბი. პირველ სართულს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი მოედო საწოლებს, სადაც დაჭრილნი იწვნენ. ისინი ცეცხლმოდებული ტანისამოსით ცდილობდნენ ფანჯრებისაკენ. ბევრი მათგანი ისე დასუსტებული იყო, რომ რამდენიმე ნაბიჯის გადახტომასაც კი ვერ ასწრებდა და იქვე ჩაკვდარი ეცემოდა. ხოლო ვინც მიაღწია ფანჯრებამდე და ფანჯრის რიგიდან აჭრა, მას ავტომატებით ხვრეტდნენ „სს“-ელები, რომელთაც ალყა ჰქონდათ შემორტყმული შენობისათვის. ცეცხლმოდებული ადამიანები პალატებში დაწრიალობდნენ. ხსნა არსი- ელთა რაზმი და დაიწყო მასობრივი დახვრეტა. ამ სისხლიანმა ხოცვა-ულტამ ოთხ დღეს გასტანა.

ჯინკველაძის ჩვენებებს აქმაებს მოწმე პროფესორი კატკოვი, რომელიც ჰოსპიტლის უფროსის მოვალეობას ასრულებდა. იგი აცხადებს, რომ საშინელი დანაშაული წინასწარ მოფიქრებული, მომზადებული და ორგანიზებული იყო ჰიტლერელების მიერ. გერმანელი ავადმყოფები ამ მხეცობით არ დაკმაყოფილდნენ და ჰოსპიტლის ეზოში ქედელზე გააკრეს და მიალურსმეს ერთ-ერთი მძიმე ავადმყოფი ქედელზე გაკრულის გარშემო თავი მოიყარა გერმანელთა ჯგუფმა. ისინი მხიარულად ხარხარებდნენ, ხოლო ბევრი მათგანი თავისი მსხვერპლის სურათს იღებდა.

შემდეგ დაკითხულ იქნენ მოწმენი ხოკოლსკაია, რომელიც მედიცინის დაგ მუშაობდა პირველ დამხარისხებელ ჰოსპიტალში, და კოზლოვა, რომლის ქმარი დაიღუპა, როცა გერმანელები დაჭრილებს ოსწრდებოდნენ.

მოწმე ბესპალოვმა სასამართლოს უამბო ოკუპანტთა მხეცობის შესახებ სოკოლნიკის ტყეპარკში.

მოწმეებს სერეკოვს, პოდკოპაევს, გაიდამაკს, გოლოვკოსა და ოსმაჩკოს თავიანთი ჩვენებებში მოჰყავთ ახალი ფაქტები გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ურჯულკობისა, რომლებიც ხვრეტდნენ სრულიად უდანაშაულო საბჭოთა ადამიანებს.

სასამართლოს თავმჯდომარე იუსტიციის გენერალ-მაიორი მიასნიკოვი აცხადებს, რომ მოწმეთა დაკითხვა დამთავრდა.

სასამართლო ისმენს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას.

სახელმწიფო ბრალმდებლის იუსტიციის პოლკოვნიკ ნ. კ. დუნაევის სიტყვა

18 დეკემბრის დილის სხდომაზე თავმჯდომარემ სიტყვა მისცა სახელმწიფო ბრალმდებელს იუსტიციის პოლკოვნიკ ამხანაგ ნ. კ. დუნაევს. სამხედრო პროკურორმა მრავალ ფაქტიური მასალა მოიყვანა, რომლებითაც უდავოდ მტკიცდება გერმანიის მთავრობისა და გერმანიის არმიის სარდლობის პასუხისმგებლობა ათიათასობით მშვიდობიანი საბჭოთა ადამიანის მხეცური გაჟლეტისათვის, საბჭოთა ჰიწა-წყალზე გერმანელი ჯალათებისა და უფიცრების მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის.

— ხარკოვსა და კრასნოდარში, ყველგან, სადაც კი გერმანელები იყვნენ,—ამბობს ამხანაგი დუნაევი,—ჩვენს თვალწინ იშლება ბოროტმოქმედებათა, ჯასაბრივ მკვლელობათა და ნგრევის ერთი და იგივე კოშმარული სურათები. მთელი მსოფლიოს თვალწინ არის ნანგრევების, ღორღისა და ფერფლის გროვა ნაცვლად ჩვენი სამშობლოს აყვავებული ქალაქ-სოფლებისა. ღრმა ორმოები, რომლებიც პირამდე სავსეა დახვრეტილი, ჩამოხრჩობილი და დახრჩობილი საბჭოთა ადამიანებით.

სახელმწიფო ბრალმდებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყოველივე ეს ცალკეულ გერმანელთა შემთხვევითი დანაშაულება კი არ არის, არამედ რუს, უკრაინელ, ბელორუს და სხვა ხალხთა გაჟლეტის ღრმად მოფიქრებული, დაწვრილებით დამუშავებული პროგრამაა. საბჭოთა კავშირის ხალხთა გაჟლეტა ჰიტლერმა საქვეყნოდ გამოაცხადა ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, ომისა, რომელიც თავს მოგვახვიეს გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა. ჰიტლერი, გერინგი, გებელსი, ჰიმლერი და ძმანი მათნი—აი ვინ არიან გერმანელი ოკუპანტების მეთაურები, ქრასნოდარში და სხვა საბჭოთა ქალაქებში ჩადენილ მასობრივ ჭკვლელობათა და ბოროტმოქმედებათა მთავარი სულისჩამდგმელნი და ორგანიზატორები. უაღრესი სიზუსტით დამტკიცდა წინასწარი გამზადებისა და სასამართლო გამძიგების დროს, რომ მასობრივ მხეცობასა და მშვიდობიან ჭკუოვრებთა დახოცვას ხარკოვსა და ხარკოვის ოლქში ეწეოდნენ ოფიცრები და ჯარისკაცები სს დივიზია „ადოლფ ჰიტლერისა“, რომელსაც მეთაურობდა სს ჯარების ობერგრუპენფიურერი დიტრიხი, სს დივიზია „მკვდარი თავისა“, რომელსაც მეთაურობდა სს ჯარების გრუპენფიურერი სიმონი, ქალაქ ხარკოვის გერმანელთა „სდ ზონდერკომანდოსა“, რომელსაც სამავეში ედგა შტურმბანფიურერი ჰანებიტერი, ქალაქ ხარკოვის გერმანელთა საიდუმლო პოლიციის ჯგუფი, მისი უფროსის — პოლიციის კომისარ კარხანის და ამ საქმის გამო ბრალდებულთა ლანგჰელდის, რიცის, რეცლავისა და ჭათ ხელშემწყობ, სამშობლოს მოღალატე ბულანოვის მეთაურობით. პროკურორი დაწვრილებით აღნიშნავს ბოროტმოქმედებებს, რომლებიც ჩაიდინა თითოეულმა მათგანმა, ჩამოსთვლის ბრალდებულთა დანაშაულის უცილობელ სასამართლო დამამტკიცებელ საბუთებს—ჭათს საკუთარ აღიარებას, მოწმეთა ჩვენებებს, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას.

შემდეგ პროკურორი ჩერდება იმ ფაქტზე, რომ, მიუხედავად იმისა, რომ გერმანია შეუერთდა ჰაგის 1907 წლის კონვენციას და ჟენევის 1929 წლის კონვენციას, რომლებიც ადგენენ ომის წარმოების წესებს, გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი ცინიკურად და საძაგლად თელავენ ომის ყველა საერთაშორისო კანონსა და ადათს. ჰიტლერული მთავრობისა და ჰიტლერელ სამხედრო ხელისუფალთა ბრალადება წინადადებას იძლევა ჩაიდინონ ისეთი მოქმედება, რომელიც უდიდეს დანაშაულად და საერთაშორისო სამართლის ღალმაფოთებელ დარღვევას წარმოადგენს. გერმანელ სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც ცეცხლს უკიდებს მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს, ხვრეტს მშვიდობიან მოქალაქეთ, ცეცხლმოდებულ სახლებში ერეკება ქალებს, მოხუცებსა და ბავშვებს,—არ შეუძლია არ იცოდეს ეს. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ როგორც ამ დანაშაულებათა სულისჩამდგმელ, ისე მათს შემსრულებელთაც. გერმანელ ფაშისტთა არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურენი, რომელთაც ბრალდებულთა სკამი უკავიათ, სისხლის სამართლის დამნაშავენი არიან და მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის დამსახურებული სასჯელი უნდა მიიღონ.

ჩამოხრჩობით სიკვდილით დასჯის განაჩენი. რაც გერმანელ ფაშისტ ავაზაკებს ლანგჰელდს, რიცს, რეცლავს და სამშობლოს მოღალატე ბულანოვს გამოუგზავნეს, მოყვანილია სისრულეში

ა. წ. 19 დეკემბერს 11 საათზე ქალაქ ხარკოვში ქალაქის მოედანზე მოყვანილ იქნა სისრულეში ჩამოხრჩობით სიკვდილით დასჯის განაჩენი, რაც უკრაინის მე-4 ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა გამოუტანა გერმანელ ფაშისტ ავაზაკებს ვილჰელმ ლანგჰელდს, ჰანს რიცს, რაინჰარდ რეცლავს და მათ ხელშემწყობს — სამშობლოს მოღალატეს მიხეილ პეტრუს-ძე ბულანოვს საბჭოთა მშვიდობიანი მოქალაქეების, მათ შორის ქალთა, ბავშვთა და მოხუცთა მხეცური გაჟლეტისათვის ქალაქ ხარკოვსა და ხარკოვის ოლქში.

ქალაქის მოედანზე სამხედრო ტრიბუნალის განაჩენის სისრულეში მოყვანას დაესწრნენ 40 ათასზე მეტი ქალაქ ხარკოვის მშრომელნი და ხარკოვის ოლქის ახლომდებარე რაიონების კოლმეურნენი, წითელი არმიის მებრძოლები და ოფიცრები, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

განაჩენის გამოქვეყნებას და სისრულეში მოყვანას ქალაქ ხარკოვის მშრომელნი და ხარკოვის ოლქის რაიონების იქ დამსწრე კოლმეურნეები დიდი კმაყოფილებით, მქუხარე და ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

ხარკოვი, 19 დეკემბერი. (საკდესი).

ინგლისელთა ფლოტილიის გამარჯვება. აქვს მოპოვებული ტორპედოს კატერს, რომლის მეთაურიც არის უფროსი ლეიტენანტი ალექსანდრე ოსიპის-ძე ბასალიო, დაჯილდოებული ლენინის ორდენით. კატერის სახელოვანმა ეკიპაჟმა ბრძოლებში ჩაძირა 17 ათასი ტონა წყალწყვის გემები. სურათზე: მეორე ხარისხის ზემდგომი ვ. ს. ივანოვი, დაჯილდოებული წითელ ვარსკვლავის ორდენით.

ფოტო ვ. კოვრიგინისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

გავოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციაში შემოვიდა მამხილებელი წერილი, რომელიც შეეხებოდა მაიაკოვსკის რაიონის სოფ. ობჩის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის დ. კახიძის მოქმედებას. რედაქციამ საქ. კ. პ. (ბ) მაიაკოვსკის რაიკომის წარმომადგენელთან ერთად შეამოწმა წერილში მოყვანილი ფაქტები, რომელთაგან ზოგიერთი დადასტურდა.

გამოირკვა, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. კახიძე ზოგჯერ უხეშად ეპყრობა კოლმეურნეებს. მაგალითად, მიმდინარე წლის 1 სექტემბერს იგი ასე მოექცა ალ. ჭულუხაძეს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის უყურადღებობით ბრიგადამ, რომელსაც პ. ბებიაშვილი ხელმძღვანელობს, ორი წლის ვანშავლობაში დაუმუშავებელი დასტოვა ახალშენი ვენახი 0,8 ჰექტარზე და ვენახობის გამო სრულიად გაანადგურდა. მოუვლელია აგრეთვე ვენახი რამდენიმე ჰექტარზე ჩხეიძეებისა და მშვილდაძეებია უბანში.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე სათანადო ყურადღებას არ აქცევს საკოლმეურნეო წისქვილების აღდგენა-მოწყობის საქმეს. მდინარე ლუხუტაზე წინათ არსებული სამი წისქვილიდან ამჟამად მხოლოდ ერთი მუშაობს. კოლმეურნეობის გამგეობასთან შეუთანხმებლად დ. კახიძე თვითნებურად მოელაპარაკა ბ. ჩხეიძეს ახალი წისქვილის მშენებლობის საკითხზე, რაზედაც ბ ჩხეიძემ უშედეგოდ იმუშავა და ამჟამად თავისი შრომის ანაზღაურებას კოლმეურნეობისაგან მოითხოვს. ამ მშენებლობის საკითხი კოლმეურნეობის გამგეობამ უნდა გადაწყვიტოს, თუ მიზანშეწონილად სცნობს, განაგრძოს და დაამთავროს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ საქმეზე მატერიალური პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს, შეთანხმების მიხედვით, პირადად დ. კახიძეს და არა კოლმეურნეობას.

ზოგიერთ საკოლმეურნეო სავაჭროში დ. კახიძის უპასუხისმგებლობის გამო დაუშვებელი უწესრიგობაა. თბილისის საკოლმეურნეო სავაჭროს გამგე ნ. მშვილდაძემ კოლმეურნეობის ხარჯზე უზედებულოდ წაიღო ქ. ორჯონიკიძეში თაფლი და კოლმეურნეობის გარეშე პირებს ღვინო, რაც სპეკულანტურ ფასებში გაჰყიდა. საკოლმეურნეო სავაჭროში მუშაობდნენ კოლმეურნეობისათვის უცხო პირები, ადგილ ჰქონდა საკოლმეურნეო ვაჭრობის წესების დარღვევას, ჩანჩხების დიდ დანაკლისს და სხვ. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, მიუხედავად იმისა, რომ დროზე გაიგო სავაჭროში არსებული უმსგავსოებათა შესახებ, არ მიიღო გადამჭრელი ზომები ნ. მშვილდაძის მიმართ.

ადგილი ჰქონდა აგრეთვე კოლმეურნეობის ფერმებიდან დაკლებულ ფასებში ფრინველების და სხვა პროდუქტების შესყიდვას. თავითონ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს დ. კახიძეს ასეთი შესყიდვის ნიადაგზე წაყვანილი ჰყავს ფერმიდან ბოჭი, ქათმები და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) მაიაკოვსკის რაიკომის ბიურომ განიხილა სოფ. ობჩის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის დ. კახიძის საკითხი. ზოგიერთი კოლმეურნის მიმართ უხეში მოქმედებისათვის, ახალშენ ვენახებზე მოვლა-პატრონობისადმი უყურადღებობისათვის, კოლმეურნეობის ფერმებიდან პროდუქტების დაკლებულ ფასებში გატანისათვის, საკოლმეურნეო სავაჭროში გარეშე პირების სამუშაოდ დაშვებისა და უწესრიგობისათვის დ. კახიძის გამოცვლადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით. ამასთან ერთად დ. სახულ იქნა ღონისძიებანი კოლმეურნეობის მუშაობის გაუმჯობესებისათვის. წინადადება მიეცა კახიძეს დაუყოვნებლივ გადაუხადოს კოლმეურნეობას ბატანი პროდუქტების სრული ღირებულება. თბილისის საკოლმეურნეო სავაჭროს გამგე ნ. მშვილდაძე მოხსნილია სამუშაოდან და მიცემულია პასუხისგებაში.

რაიმეზეგანს დაევალა გაუმჯობესოს კონტროლი და ყოველდღიური ხელმძღვანელობა სოფ. ობჩის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მიმართ. პარტიაიკომის ბიუროს ეს დადგენილება კოლმეურნეებს გაეცნო საერთო კრებაზე.

„ანტიპოქარინი“

რაციონალიზატორული და საგამოგონებლო საქმიანობის ფართოდ გაშლით სამამული ომის დღეებში საქართველოში გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობათა და ცეცხლმქრობ საშუალებათა გაუმჯობესებისათვის. ამ საქმეში სახანძრო დარგის სპეციალისტების გარდა ჩაბმული არიან სხვა დარგების სპეციალისტებიც. მათ შორის აღსანიშნავია გამომგონებელი ამხ. ა. ს. კუპაძე, რომელმაც გამოიგონა ქიმიური შემადგენლობა ადვილაალებად ნივთიერებათა ხანძრის ჩასაქრობად.

ახალი შემადგენლობა, რომელსაც გამომგონებელმა „ანტიპოქარინი“ უწოდა, ძირითადად მზადდება ადგილობრივ ნედლეულისაგან.

საქ. სსრ მინსახკომის სახანძრო დაცვის საგმართველოს და სსრ კავშირის შინსახკომის სახანძრო დაცვის მთავარი სამმართველოს სპეციალურმა კომისიამ გამოსცადა და მოიწონა გამომგონებელ კუპაძის მიერ წარმოდგენილი ქიმიური ნივთიერება. ამავე დროს კომისიამ მიზანშეწონილად სცნო გაუმჯობესებანი გამომგონებლის მიერ „ანტიპოქარინის“ ჩასასხმელი ჩვეულებრივი თიხის ჭურჭელი ორიგინალური მოწყობილობის გაკეთებით, რომელიც საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას 6-8 მეტრი სიგრძის ქაფის ნაკადი. კერძამაკეთებელ ცეცხლმქრობი, რომელიც ჩასხმულია ხანძარსაწინააღმდეგო სითხე „ანტიპოქარინი“, განსაკუთრებით მოხერხებულია საცხოვრებელ სახლებსა და დაწესებულებებში ფართოდ გამოყენებისათვის.

ახალი ცეცხლმქრობის უპირატესობას არსებულთა წინაშე შეადგენს მისი სიიაფე და მარტივი მოწყობილობა, ქიმიური შემადგენლობის ხელმისაწვდომობა, დეფიციტური რკინის უფრო იაფი მასალით — თიხით შეცვლა.

„ანტიპოქარინის“ მასობრივი წარმოება ენშენელოვნად გაუმჯობესებს საცხოვრებელი სახლების უზრუნველყოფას ცეცხლმქრობ პირველადი საშუალებებით.

ვ. ბარამიძე

საქართველოს სსრ შინსახკომის სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე, სახელმწიფო უშიშროების მაიორი.

საგაზაფხულო გამოკვების აბრეშუმის ჭიის ახალი სახის საკვები

დიდ ღირებულებას წარმოადგენს საადრეო საგაზაფხულო გამოკვების აბრეშუმის ჭია, როდესაც იგი იკვებება თეთრი თუთის ნორჩი, ახლახან გამოსხმული ფოთლებით. თუ გაზაფხულზე აციდა, თუთის ხის ნორჩი ფოთლების გამოღება ყოვნდება, რაც იწვევს დაბრკოლებას აბრეშუმის ჭიის გამოკვების საქმეში, ხოლო ზოგჯერ აბრეშუმის ჭია კიდეც იღუპება.

თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა თუთის ხის შემცველ მცენარეთა გამონახვისათვის.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ამხ. ა. ნიორაძემ შესძლო შეეჩინა მცენარეები, რომელნიც თუთის ხის მაგიერობას სწევენ გაზაფხულის დამდეგს. ასეთი აღმოჩნდა მცენარეების ღორის ქადისა და ფამფარის ფოთლები. ამ მცენარეთა ფოთლები თუთის ხის ფოთლებზე 2-3 კვირით ადრე გაიშლება ხოლმე და აბრეშუმის ჭია მათ ხალისით სჭამს.

წელს ჩატარებულმა ცდებმა დაგვანახვეს, რომ აბრეშუმის ჭიის ახალი სახის საკვებზე გადაყვანისა და შემდეგში თანდათან თუთის ფოთოლზე დაბრუნებისას პარკის მოსავალი და მისი ხარისხი არ ჩამოუვარდება მხოლოდ-დამხოლოდ თუთის ხის ფოთლით გამოკვებილი აბრეშუმის ჭიის პარკს.

ახალი სახის საკვები მასობრივი მასშტაბით იქნება გამოყენებული საქართველოს მეაბრეშუმეების მიერ 1944 წლის გაზაფხულის დამდეგს. (საქდესი).

„პაპარა კახის“ განახლებული დადგმა

ოთხშაბათს, 22 დეკემბერს, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ნაჩვენები იქნება ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ი. გოკიელის ოპერის „პატარა კახის“ განახლებული დადგმა.

ოპერა იდგმება ახალი რედაქციით. დაიწერა ოპერის შესავალი, უკანასკნელ სურათში გამოყვანილია ახალი მოქმედი პირები—თეამურაზ მეფე და დედოფალი—პატარა კახის შობლები. ოპერის ფინალი ხელახლად დაიწერა, ფინალს დართული აქვს პატარა არიოზო ირაკლისათვის.

22 დეკემბერს სპექტაკლში მონაწილეობენ: დ. ბადრიძე, ნ. ხარაძე, დ. გამრეკელი, ნ. ცომაია, გ. გოგიჩაძე, ვ. ხამაშურიძე, შ. ცირლიადე, შ. ქუთათელაძე, ბ. ჩახუნაშვილი, თ. ცაბაძე, გ. შმალცელი, ზ. სვანიძე, ვ. ჭუმბურიძე, ა. მაჩაბელი; ცეკვებში მონაწილეობენ მ. ბულიგინა, ჯ. ბაგრატიონი, ვ. ყუფარაძე, შ. ზარაძე. სპექტაკლს დირიჟორობს შ. აზმაიფარაშვილი.

ლექციები და მოხსენებები

21 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) პროპაგანდისტებისათვის შესდგება კონსულტაცია ქართულ ენაზე. თემა: **„ამხანაგი სტალინი საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი“.**

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ბ. ჯიბლაძე

დღეფიცები

ამერიკელი ფინელების მიმართვა ფინელი ხალხისადმი

ნიუ-იორკი, 16 დეკემბერი (საკდესი). ამერიკელი ფინელების — პროფკავშირთა წევრების ნაციონალური კომიტეტი ფინელი ხალხისადმი მიმართვაში მოუწოდებს მას განდევნოს ნაცისტები და მათი ლაქიები ფინეთიდან და შეჰქმნას დემოკრატიული დამოუკიდებელი ფინეთი. მიმართვაში ნათქვამია: „ფინეთის ხალხო! თქვენ ისტორიულ გზაჯვარედინზე იმყოფებით. დადგა დრო, როცა თქვენ უნდა უპასუხოთ: ნებას მისცემთ თუ არა თქვენს მოღალატე მმართველებს ნაცისტებთან ერთად მიიყვანონ ფინეთი სრულ მოსპობამდე, თუ თქვენ მიჰბაძავთ იტალიელი ხალხის მაგალითს და შეუერთდებით გაერთიანებულ ერებს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, ნაცისტური დამონების წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორც ფინური წარმოშობის ამერიკელები, ჩვენ ამცნეთ ფინეთის ნაცისტური მაგნატების წინააღმდეგ. განდევნეთ ნაცისტური გერმანიის შეიარაღებული ძალები ფინეთიდან. დაამსხვრიეთ ნაცისტური ბატონობის ღელი. გაჟლიტეთ ნაცისტი ტირანები“.

ფინელები ფორგფიფიკაციების ხაზს აგებენ ლენინგრადის ახლოს

სტოკჰოლმი, 19 დეკემბერი (საკდესი). გაზეთი „ნიუ დაგი“ იუწყება, რომ ერთმა შვედმა მოხალისემ, რომელიც ეს არის დაბრუნდა ფინეთის ფრონტიდან, სადაც ექვს თვეს ასაჯელს იხდიდა, სთქვა, რომ სამხედრო სასამართლოებს ფინეთის არმიაში ახლა სულ მცირე დანაშაულისთვისაც კი მეტად მკაცრი განაჩენი გამოაქვთ.

თვითონ ის ამისათვის დასაჯეს, რომ ხიბინი გადასცვალა ერთ ბოთლ ღვინოში. ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში ათასობით ფინეთელ ოფიცერს, ჯარისკაცს დაახლოებით ორი მესამედი მსჯავრდებულია თვითნებურად წასვლისთვის.

ამერიკის ავიაციის თავდასხმები ღამით გერმანიის ქალაქებზე

ნიუ-იორკი, 18 დეკემბერი (საკდესი). ა. შ. შტატების სამხედრო მინისტრმა სტიმსონმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ გერმანიაზე ღამით თავდასხმების დროს ამერიკის თვითმფრინავები დაახლოებით იმდენივე ბომბს ჰყრიან, რამდენსაც ინგლისის ავიაცია ჰყრის ღამის ყველაზე ინტენსიური თავდასხმების დროს.

გასულ კვირას ამერიკის ავიაციამ ორი უდიდესი თავდასხმა მოახდინა, რომელთაგან თითოეულში 1.000-ზე მეტი ბომბდამშენი და ავიაგამანადგურებელი მონაწილეობდა. 11 დეკემბერს ამერიკის ავიაცია თავს დაესხა ემდენს. დაბომბილ იქნა გემსაშენები, რომლებიც წყალქვეშა ნავებს აგებენ, სანავსადგური ნაგებობანი და ქარხნები. 13 დეკემბერს მიტანილ იქნა ბერლინი გერმანიის სხვა ქალაქებზე, მაგრამ მოღრუბლულობის გამო შეუძლებელი გახდა მიყენებული ზარალის გამორკვევა.

სტიმსონმა განაცხადა, რომ გასული თვის მანძილზე ამერიკის ავიაციამ, რომლის ბაზასაც ინგლისი წარმოადგენს, ბრძოლებში მოსპო გერმანიის 493 თვითმფრინავი.

ომი წყნარ ოკეანეში

ლონდონი, 20 დეკემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, არავეს კუნძულებზე მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს რამდენიმე პუნქტი და წინ მიიწევენ სანაპიროს გასწვრივ. მათ ხელთ იგდეს მნიშვნელოვანი დაფა. ჰუონის ნახევარკუნძულზე (ახალი გვინეა) სწარმოებს იაპონის ჯარების ნაშთების მოსპობა მდინარე სანგის შესართავში.

დედოფალ ავგუსტას ყურეში (კუნძული ბუგენვილი) მოკავშირეთა ჯარები არტილერიის ეფექტური დახმარებით წინ მიიწევენ აღმოსავლეთის მიმართულებით.

ტოკიო, 20 დეკემბერი (საკდესი). ოფიციალურად ტოკიოს ცუსინის საგენტო გადმოგცემს, იაპონის ჯარები მძიმე ბრძოლებს ეწევიან მოკავშირეთა ჯარებთან, რომლებიც გადმოსხდნენ მერკუსის კონცხზე (ახალი ბრიტანეთი).

ჰილბერტის კუნძულებზე წარმოებული ოპერაციების დროს დაიღუპა იაპონელი კონტრადმირალი სიბაუზაკი.

ინგლისელ-ამერიკელ ავიაციონერთა ბრძოლა ევროპის ცაზე

ლონდონი, 20 დეკემბერი (საკდესი). ინგლისელ-ამერიკელ ავიაციონერთა ბრძოლა ევროპის ცაზე ინტენსიურ ხასიათს ატარებს. ინგლისელ-ამერიკელ ავიაციონერთა ბრძოლა ევროპის ცაზე ინტენსიურ ხასიათს ატარებს. ინგლისელ-ამერიკელ ავიაციონერთა ბრძოლა